ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების თავმჯდომარის,
საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის,

დავით უთმელიძის
2020 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის
„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის„
88-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ
ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

2017 წლის ნოემბრიდან ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი, ასევე ქონების მართვისა და საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის წევრი.

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა**

მოგახსენებთ, რომ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ბიუროს 18 და საკრებულოს 18 სხდომა, აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 134 დადგენილება და 387 განკარგულება. ჩატარებული სხდომებიდან დავესწარი 17 ბიუროს და 17 საკრებულოს სხდომას. მივიღე აქტიური მონაწილეობა ბიუროსა და საკრებულოს სხდომების ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვაში.

- **ფრაქციული მუშაობა**

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ შემადგენლობაში შედის საკრებულოს 3 წევრი. ფრაქციის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ, სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები და ჯერდება პოზიციები. ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორებმა“ ჩაატარა 11 სხდომა, საკითხთა რაოდენობამ შეადგინა 18. განხილულ იქნა შემდეგი საკითხები როგორიცაა:

- თბილისი მუნიციპალიტეტის მერიასა და კომპანია „სითი პარკს“ შორის სამართლებრივი დავა;
- სამაჟორიტარო ოლქებში დაგეგმილი საახალწლო ღონისძიებები;
- ახალი სასწრაფო მანქანების შემოყვანა;
- ინფრასტრუქტურული სამუშაოები;
- სატრანსპორტო პოლიტიკა ქალაქში;
- პანდემიის გამო შექმნილი სიტუაცია და სხვა არსებული მნიშვნელოვანი საკითხები.

ასევე უმრავლესობის ფორმატში ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”-სთან ერთად 2019 წლის ნოემბრიდან - 2020 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა 17 სხდომა, რომლიდანაც დავესწარი 17 სხდომას, განვიხილეთ დღის წესრიგით გათვალისწინებული 21 საკითხი.

სამუშაო ფორმატში ვხვდებოდით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებს, საქალაქო სამსახურის უფროსებს, ვისმენდით მათ ანგარიშს და ვმსჯელობდით აქტიურ საკითხებზე.

- **კომისიური მუშაობა**

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 20 კომისიის სხდომა, დავესწარი ოცივე კომისიის სხდომას. კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 162 საკითხი, აქტიურად ვიყავი ჩართული საკითხების განხილვაში, მსჯელობასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის დადგენილებაში ცვლილების შეტანა და რამდენიმე მისამართზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტები. ასევე შევხვდით დიღმის ჭალების მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთა საინიციატივო ჯგუფის წევრებს. მოქალაქეებმა ტერიტორიაზე არსებული ვითარება გაგვაცნეს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, საკითხების დეტალური შესწავლა მოხდება, რის შემდეგაც დაინტერესებული პირები მიმდინარე პროცესებში ჩართვას კვლავაც შეძლებენ.

ქონების მართვისა და საფინანსო - საბიუჯეტო კომისია

ქონების მართვისა და საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 29 სხდომა, დავესწარი 27 სხდომას. კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 307 საკითხი, შევისწავლე და განხილვაში მივიღე მონაწილეობა ყველა მნიშვნელოვან საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე მომიწია ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება.

დაახლოებით 300 ადამიანს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცათ შესაბამისი ქონება.

ასევე მონაწილეობა მივიღე და მხარი დავუჭირე, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ,,თბილისის მეტროს პროექტთან'' დაკავშირებით 2020 წლის აპრილში 75 000.000 ევროს ოდენობით შეთანხმებას. შეთანხმება მიზნად ისახავს დედაქალაქში მიმდინარე სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში თბილისის მეტროპოლიტენისთვის მოძრავი შემადგენლობის შეძენას, მეტროს დეპოს მშენებლობა/რეკონსტრუქციას და ასევე შემაერთებელი გვირაბის რეაბილიტაციას.

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

2017 წლიდან გახლავართ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი საბურთალოს მე-5 ოლქში.

ოლქში მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური, სატრანსპორტო, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის და დასაქმების საკითხები.

ჩემი წარმომადგენლობის მისამართია: ალ. ყაზბეგის N 14ა, წარმომადგენლობა მუშაობს ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 09:00-18:00-მდე, ბიუროს თანამშრომლები ყოველდღიურად ხვდებიან მოქალაქეებს, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების დაცვით, იღებენ განცხადებებს და საჭიროების შემთხვევაში გასცემენ რეკომენდაციებს, დადიან სამაჟორიტარო ოლქში საჭიროებიდან გამომდინარე და ხვდებიან მოსახლეობას.

ბიუროში ჩემი მოქალაქეებთან შეხვედრის დღეა ყოველი კვირის ოთხშაბათი. თუმცა მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე შეხვედრები ხორციელდება კვირის სხვა დღეებშიც. გარდა ბიუროში შეხვედრებისა აქტიურად გავდივარ უბნებზე, ვხვდები მაცხოვრებლებს და პირადად, ადგილზე ვეცნობი იქ არსებულ მდგომარეობას. გარდა ამისა, სოციალური ქსელითა და სატელეფონო საუბრებით ვახდენ ყოველდღიურ კომუნიკაციას ამომრჩევლებთან. პანდემიის პერიოდში, ჩემს ამომრჩეველთან განსაკუთრებით აქტიურად ვახორციელებდი სატელეფონო კომუნიკაციას, ყოველდღიურად საუბარი მიწევდა ათობით ადამიანთან და გავცემდი შესაბამის რეკომენდაციებს.

ჩემს სახელზე ოფიციალურად შემოსული მოქალაქის ყველა განცხადებაზე მოვახდინე შესაბამისი რეაგირება და გავაკეთე შუამდგომლობა სხვადასხვა საქალაქო სამსახურში, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში და სხვა შესაბამის უწყებებში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმომადგენლობაში ოთხშაბათ დღეს ოფიციალურად, 15-ჯერ გავმართე შეხვედრა, სადაც მოსული მოქალაქეები მიზიარებდნენ პირად თუ საყოფაცხოვრებო პრობლემებს, რადგან კორონა ვირუსის პანდემიიდან გამომდინარე გვიწევდა დისტანციურად მუშაობა.

მოქალაქეთა მომართვიანობა ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- ✓ კეთილმოწყობა/ინფრასტრუქტურა;
- ✓ დასაქმება;
- ✓ უკანონო მშენებლობა;
- ✓ ავარიული კორპუსებისა და საცხოვრებელი სახლის გამაგრება;
- ✓ მედიკამენტების დაფინანსება;
- ✓ კომუნალურების გადანაწილება;
- ✓ ტერიტორიების გამწვანებას და რეკრეაციას;
- ✓ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას;
- ✓ პირად საკითხებს;
- ✓ და სხვ...

- **ინფრასტრუქტურული პროექტები:**

საბურთალოს მე-5 ოლქში უშუალოდ ჩემი თანამონაწილეობით და შუამდგომლობის საფუძველზე, საბურთალოს რაიონის გამგეობამ განახორციელა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები.

- ყაზბეგის N 11 -ის სკვერის რეაბილიტაცია;
- საბურთალო, მეგრელაძის 2 , აშენდა საყრდენი კედლი და მოეწყო მოაჯირი;
- ყაზბეგის გამზირზე, N1 და N3 კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე რებილიტირდა სკვერი;
- ყაზბეგის N27- ში რეაბილიტირდა სკვერი, პროექტი საბურთალოს რაიონის გამგეობასა და ჩეხეთის რესპუბლიკის დედაქალაქის მუნიციპალიტეტ პრაღა 3-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა.
- უშუალოდ ჩემი შუამდგომლობის საფუძველზე, ვეძისი-ლისისი ტბის N29 მარშრუტზე დაინიშნა ახალი ავტობუსები;
- მიცკევიჩის N17-ში სრულად რებილიტირდა სკვერი, პროექტის ფარგლებში, მოეწყო საბავშვო მოედანი, სადაც კაუჩუკის საფარზე სხვადასხვა სახის ატრაქციონი დამონტაჟდა. ტერიტორიაზე ასევე, ჩატარდა გამწვანების სამუშაოები, განთავსდა საჩრდილობელი, საპარკე სკამები და დამონტაჟდა LED სანათები;
- საბურთალოზე, ისაკაძის ქუჩა N51-ის მიმდებარედ, გრუნტის დამჭერი კედელი მოეწყო. სამუშაოების ფარგლებში, 40 გრძივ მეტრზე საყრდენი კედელი აშენდა;
- ტაშკენტის შესახვევი N5-სა და N7-ში მრავალბინიანი სახლის ქანობიანი სახურავი რეაბილიტირდა და წყალსაწრეტი მილები დამონტაჟდა;
- საირმის ქუჩა, კორპუსი N7-ში შშმ პირთათვის ელექტროპანდუსი დამონტაჟდა, რომლითაც ისარგებლებს აქ მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და შეძლებს დამოუკიდებლად გადაადგილებას;
- გოთუას 16 ნომერში დამონტაჟდა სპეციალური მოდიფიცირებული ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის;
- გაზაფხულის ქუჩა 12 ნომერთან მოეწყო საფეხმავლო კიბე, რაც ადგილობრივ მოსახლეობას მისცემს კომფორტული გადაადგილების საშუალებას;
- ასათიანის ქუჩზე მოეწყო სანიაღვრე ქსელი;
- დაიწყო მზია ერისთავის ქუჩის სრული რეაბილიტაცია;
- საბურთალოს რაიონში, ანტონოვსკაიას ქუჩა N9 ბ-ში, წყლისა და წყალარინების ქსელი მოეწყო;
- ყაზბეგის გამზირი N24-ში დაიწყო წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია;
- საბურთალოზეჭილაძის ქუჩა N166, კორპუსი N3-ში დაიწყო წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები;
- საბურთალოს რაიონში, ონიაშვილის ქუჩის ნაწილზე საგზაო სამუშაოები ჩატარდა;
- რეაბილიტირდა მიცკევიჩის ქუჩა N17-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერი;

- რეაბილიტირდა 15-მდე სადარბაზო;
- მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად, ჩემს სამაჟორიტარო ოლქში ლოკალურად დამონტაჟდა დამცავი „ბოწკიტები“ , ზებრა გადასასვლელები და გამაფრთხილებელი შუქნიშნები ფეხით მოსიარულეთათვის.
- პირადად ჩემი უშუალო მოლაპარაკების საფუძველზე GWP-სთან (ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი) დაიგეგმა და განხორციელდა ერისთავი, გვარამია და დგებუაძის ქუჩების წყალარინების და საკანალიზაციო ქსელებით აღჭურვა, ამ დრომდე აღნიშნულ ქუჩებს არ გააჩნდა ეს სისტემები. ამ ეტაპზე აღნიშნული ქუჩების მოასფალტებას ახორციელებს საბურთალოს რაიონის გამგეობა.
- ჩემი უშუალო ჩართულობის საფუძველზე, ბერიტაშვილის ქუჩასა და ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟდა 4 ახალი გაჩერება, აქამდე ამ ტერიტორიაზე ავტობუსის გაჩერება არ არსებობდა.

სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პორექტები ჩემს სამაჟორიტარო ოლქში ამჟამადაც აქტიურად მიმდინარეობს.

- **ღონისძიებები და აქტივობები**

საანგარიშო პერიოდში, დავესწარი თბილისის მერის მიერ წარმოდგენილ პრეზენტაციას, რომელიც 2020-2022 წლებში განსახორციებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ეხებოდა.
ასევე დავესწარი პრეზენტაციას სახელწოდებით „მდგრადი მობილობა თბილისისთვის“.

მონაწიელობა მივიღე თბილისის საახალწლო და საშობაო „ალილოს“ ღონისძიებაში. „ალილოს“ მონაწილეებს საკრებულოს წევრებმა გადავეცით ტკბილეული.
დავესწარი „მზიურისა“ და კიკვიძის პარკის გახსნას.
საკრებულოს დეპუტატებთან ერთად დავესწარი თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის პრეზენტაციას.
17 დეკემბერს, დავესწარი საბურთალოს რაიონის გამგეობის წლიური ანგარიშის წარდგენას, რომლის ფარგლებშიც, საბურთალოს რაიონის გამგებელმა, გაიოზ ვასაძემ მოსახლეობას გამგეობის მიერ 2018-2019 წლებში შესრულებული საქმიანობის ანგარიში წარუდგინა.

22 დეკემბერს, საბურთალოს რაიონში, ზაქარიაძის N3-ში, ამხანაგობისა და გამგეობის მხარდაჭერით, ადგილობრივმა მოსახლეობამ ეზო და მიმდებარე ტერიტორია მოაწესრიგა და გაამწვანა, რაშიც აქტიურად ვიყავი ჩართული, ღონისძიებას ქალაქის მერი და საბურთალოს რაიონის გამგებელი დაესწრო.
ჩემს ბიუროს თანამშრომლებთან ერთად წინასაახალწლოდ მოვინახულე მარტოხელა მოხუცები და გადავეცი ტკბილეულის კალათა.

30 იანვარს, საბურთალოს რაიონის გამგებელ გაიოზ ვასაძესთან ერთად პირადად გავეცანი ყაზბეგის გამზირი N1 და N3-ის მიმდებარედ, სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

13 თებერვალს, საბურთალოზე, ვეძისი-ლისისი ტბის დასახლების მიმართულებით მოძრავი N29 ავტობუსი ახლით ჩანაცვლდა. პირადად ვიმგზავრე, ახალი ISUZU-ს მარკის ავტობუსით, გავესაუბრე მგზავრებს და მოვისმინე მათი შეფასება ახალი ავტობუსების და ზოგადად რაიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

20 თებერვალს, ჩემი ინიციატივით საბურთალოს რაიონის გამგებელ გაიოზ ვასაძესა და გამგეობის თანამშრომლებთან ერთად „პოლონეთის სოლიდარობის ფონდი - საქართველში“ წარმომადგენლებს შევხვდი.
განვიხილეთ მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმარება-განკარგვაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობის საკითხი.
შეხვედრაზე საუბარი ეხებოდა, ასევე, „პოლონეთის სოლიდარობის ფონდი - საქართველში“ და საბურთალოს რაიონის გამგეობას შორის შემდგომში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის გაფორმებას.

6 მარტს, ჩემს წარმომადგენლობაში გავმართე შეხვედრა ახალგაზრდა სტარტაპერებსა და ბიზნეს აქსელერატორ სპარკის წარმომადგენლებთან.
შეხვედრის მიზანი იყო ახალგაზრდების ბიზნეს იდეის განხილვა და მათთვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევა. შეხვედრამ ძალიან ნაყოფიერად ჩაიარა, ახალგაზრდა სტარტაპერებს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები და დაიგეგმა შეხვედრა შესაბამისი ბიზნეს სექტორის წარმომდგენლებთან.

თბილისის საკრებულოში დავესწარი თბილისის მუზეუმების გაერთიანების 4-წლიანი საქმიანობის ანგარიშის წარდგენას.

პანდემიის პერიოდში (გაზაფხული-ზაფხულის განმავლობაში) აქტიურად ვიყავი ჩართული სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებელ კამპანიაში. პირადად ვესტუმრე ასეულობით ოჯახს, გადავეცი სასურსათო კალათა, პირველადი მოხმარების და ჰიგიენური საშუალებების ამანათები.
„მრავალშვილიანი ოჯახების საკვები პროდუქტით უზრუნველყოფის“ კამპანიის ფარგლებში, ჩემს სამაჟორიტარო ოლქში საბურთალოზე მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს საკვები პროდუქტი და პირველადი მოხმარების ნივთები გადავეცი. პროდუქტების შეძენაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს კერძო კომპანიებმა, რაც დასარიგებლად საკრებულოს წევრებს გადმოგვცა. ნობათების გადაცემა სპეციალურად გადამზადებული მოხალისეების დახმარებით განვახორციელე.

მე, პირადად გავიარე სპეციალური გადამზადების კურსი, რომელიც შეეხებოდა მოსახლეობასთან უსაფრთხო კომუნიკაციას.
ასევე, პანდემიის პერიოდში ჩემი ხელფასის გარკვეულ ნაწილს ყოველთვიურად ვრიცხავდი პანდემიის ფონდში.

სოფელ დიღომში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე ახალი სკვერი მოეწყო. დასრულებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან, საბურთალოს მაჟორიტარ დეპუტატ ავთანდილ ცინცაძესთან, საკრებულოს წევრებთან და რაიონის გამგებელთან გაიოზ ვასაძესთან ერთად ადგილზე გავეცანი.

საბურთალოს რაიონში, ალექსანდრე ყაზბეგის N 1-3 ში, ახლადრეაბილიტირებულ სკვერს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბექა ფილფანის სახელი მიენიჭება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილთან და საბურთალოს რაიონის გამგებელი გაიოზ ვასაძესთან ერთად ალექსანდრე ყაზბეგის N 1-3-ის მაცხოვრებლებს შევხვდი, შედგა საჯარო განხილვა.

საბურთალოს რაიონის გამგებელ გაიოზ ვასაძესთან ერთად ვაჟა-ფშაველას I ჩიხი კორპუსი N3-ის ეზოში ახლად რეაბილიტირბული დასასვენებელი სივრცე მოვინახულე.

ქალაქის მერთან და საკრებულოს დეპუტატებთან ერთად დავესწარი საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობის დაწყების ღონისძიებას.

საბურთალოს რაიონში, ყაზბეგის გამზირზე, N52 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებულ სკვერს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. შესრულებულ სამუშაოებს პირადად გავეცანი ქალაქ თბილისის მერთან და საბურთალოს რაიონის გამგებელთან ერთად.

საბურთალოზე, ვაჟა-ფშაველას გამზირი N6-ის და ყაზბეგის გამზ. N5 -ის მიმდებარედ დასასვენებელი სივრცე განახლდა. დასრულებული სამუშაოებს პირადად გავეცანი საბურთალოს რაიონის გამგებელ გაიოზ ვასაძესა და ჩემი წარმომადგენლობის თანამშრომლებთან ერთად.

ჩემი წარმომადგენლობის თანამშრომლებთან ერთად, პირადად გავეცანი ყაზბეგის გამზირი N11-სა და N13-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერში მიმდინარე სარეალიბიტაციო სამუშაოებს.

საბურთალოს რაიონის გამგებელთან გაიოზ ვასაძესთან ერთად საბურთალოს რაიონში, ყაზბეგის გამზირი N5-სა და N7-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერში მიმდინარე სარეალიბიტაციო სამუშაოებს გავეცანი.

თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით და დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით, ვაკეში მდებარე ერთ-ერთ სკვერს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული მებრძოლის კოკა კლდიაშვილის სახელი მიენიჭა. ღონისძიებას საკრებულოს დეპუტატებთან ერთად დავესწარი.

საბურთალოს რაიონში, მზია ერისთავის ქუჩაზე საგზაო სამუშაოები დაიწყო, აღნიშნულ სამუშაოებს პირადად გავეცანი საბურთალოს გამგებელთან ერთად.

თბილისის საკრებულოს დეპუტატებთან ერთდ დავესწარი, თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივითა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, ჩუღურეთის რაიონში ე.წ. ,,არტოს ბაღისთვის" გია ყანჩელის სახელის მინიჭების შესახებ საჯარო განხილვის ღონისძიებას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დავესწარი და გავმართე 25 სოციალური ღონისძიება/შეხვედრა.
რეაბილიტირდა და განახლდა 20-მდე გზა და სკვერი, რეაბილიტირდა 15 სადარბაზო, აშენდა 3 საყრდენი კედელი, მოწყო ელექტრო პანდუსები და მოდიფიცირებული ლიფტები შშმ პირებისთვის.
გამწვანდა რამოდენიმე უბანი და ეზო.
ჩემს ოლქში კვლავ გრძელდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხცორციელება, ამ ეტაპზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს რამოდენიმე ლოკაციაზე, მაგ: ნუცუბიძის 32-ში წყალარინების ქსელის განახლება, სამუშაოების შედეგად, მილები და ჭები შეიცვლება. სამუშაოების დასრულების შემდეგ კი, ადგილობრივ მოსახლეობას წლების განმავლოვლობაში არსებული პრობლემა მოუგვარდება.

ვაგრძელებ ინტენსიურ კომუნიკაციას მოსახლეობასთან, ვეცნობი მათ პრობლემებს და მაქსიმალურად ვცდილობ დროულად გადაიჭრას ჩემს სამაჟორიტარო ოლქში არსებული პრობლემატური საკითხები.